26/10/2019

წმინდა დიდმოწამე ზლატა (ქრისა) მეგლენელი (+1795)

წმინდა ზლატა (ბერძნულად ქრისა) XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში ცხოვრობდა მაკედონიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მოგლენის ოლქის (მაკედონიური ტრადიციით-მეგლენი) სოფელ სლატინაში. ზლატა ღარიბ ოჯახში დაიბადა, რომელიც ერთგული იყო მამა-პაპათა რწმენისა. მშობლებს მის გარდა კიდევ სამი ქალიშვილი ჰყავდათ. გოგონა ხორციელადაც მშვენიერი იყო და სულიერადაც.

ერთ თურქს ქალიშვილის უჩვეულო სილამაზემ ვნება აღუძრა და ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა მის ხელში ჩასაგდებად. ერთხელაც, როცა ქალიშვილი მეგობრებთან გარეთ გამოვიდა, შეიპყრო და შინ მიიყვანა. ჯერ სცადა, დაპირებებით მოენადირებინა გოგონას გული, ეუბნებოდა თუ ისლამს მიიღებ, ცოლად შეგირთავ და ფუფუნებაში გაცხოვრებო, თუ არ დამემორჩილები-გაწამებო. მაგრამ ზლატა ვერ შეაშინა, გონებით მაცხოვარს შეწევნისათვის მოუწოდა და თურქს კადნიერად უთხრა: “მე მწამს და ვეთაყვანები ჩემს ქრისტეს და მას ვთვლი ჩემს სასიძოდ, რომელსაც

არასოდეს ვუღალატებ, თუნდაც ათასჯერ მაწამოთ და ამკუწოთო”. თურქმა რომ დაინახა თვითონ ვერაფერს გახდებოდა, ქალიშვილის დათანხმება თავის ცოლებს მიანდო, რომლებიც ნახევარი წლის განმავლობაში ცდილობდნენ ზლატას დაყოლიებას, მაგრამ მათ ქალიშვილს რწმენა ვერ შეურყიეს. შემდეგ ზლატას მშობლებსა და დებს დაემუქრნენ, დაითანხმეთ ისლამი მიიღოს, თორემ მასაც მოვკლავთ და თქვენც დაგსჯითო. შიშმა აიძულა ისინი, მისულიყვნენ ზლატასთან.

ტირილით შეჰღაღადეს, მხოლოდ გარეგნულად თქვი უარი ქრისტეზე, უფალი მოწყალეა და შეგინდობს ამ იძულებულ ნაბიჯსო. მიუხედავად დედის ცრემლებისა, ზლატა ისევ მტკიცედ იდგა, მშობლებს უსაყვედურა:-რადგანაც ჩემს დაყოლიებას ცდილობთ-განვუდგე ჭეშმარიტ ღმერთს, იესო ქრისტეს, ამიერიდან აღარა ხართ ჩემი მშობლები და ჩემი დები, თქვენი დანახვა აღარ მინდა, თქვენს მაგივრად მყავს მამა უფალი ჩემი იესო ქრისტე, დედა-დედოფალი ჩემი ღვთისმშობელი, ხოლო დები და ძმები წმინდანები არიან.

როცა ურჯულოებმა დაინახეს, რომ ახლობლები ქალიშვილთან ვერაფერს გახდნენ, მაშინ შეგონებას თავი ანებეს და ზლატას წამებას შეუდგნენ. სამი თვის მანძილზე ყოველდღე სცემდნენ. შემდეგ ტყავი ზოლებად ააძრეს და წინ ჩამოუკიდეს-შეეშინდებაო. გოგონას სხეულიდან სისხლი წყაროებად სდიოდა, ირგვლივ მიწა გადაწითლდა. მერე გახურებული შამფურები ყურებში გაუყარეს ისე, რომ დამწვარი ხორცის ორთქლი წმინდანის ცხვირიდან და პირიდან გამოვარდა. მაგრამ ამ დიდმა ტკივილმაც ვერ გატეხა. შეიტყო, რომ იქვე ახლოს მისი მოძღვარი, ათონის სტავრონიკიტას იღუმენი მამა ტიმოთე იმყოფებოდა, ერთ ქრისტიანს მასთან თხოვნა დააბარა, ელოცა მისთვის, რომ ბოლომდე მიეტანა თავისი ჯვარი.

ურჯულოებს უკვირდათ, ერთ პატარა გოგოს როგორ ვერ მოვერიეთო. ქრისტეს ბატკანი პანტის ხეზე ჩამოჰკიდეს და ასო-ასო აქნეს. წმინდა ზლატა 1795 წლის 18 ოქტომბერს გარდაიცვალა (ზოგ “მარტვილობაში” წმინდა ზლატას გარდაცვალების დღედ 13 ოქტომბერია აღნიშნული, ხოლო 18 ოქტომბერს კი წმინდა ზლატას სასწაული იდღესასწაულება).

- karibche.ambebi.ge